ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6993192

ნომერი: AR11028413

თარიღი : 11.04.2024

გაცემის თარიღი : 23.04.2024

გაცნობის თარიღი : 24.04.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კუმისი N19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ პაპისმედოვი პ/ნ 01012000873
- თბილისი ვაზისუბნის III მ/რ II კვ. კორ. 10 ბ. 191

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვლადიმერ აბრამიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს დემარკი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205196759

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: კუმისი რეზიდენსი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404578186
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ბესიკ პაპისმედოვი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 010120008373

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 6304399
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 30.01.2023

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2023 წლის 30 იანვრის № 6304399 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2023 წლის 17 იანვრის №6287228 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი–ჩუღურეთი, კუმისის ქ. N19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.16.06.057.058) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

2023 წლის 30 იანვრის № 6304399 ბრძანებით (სექტორი - ჩუღურეთი), შპს „კუმისი რეზიდენს“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.16.06.057.058) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის: 17/01/2023წ. №6287228 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 30 იანვრიდან 2024 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

2024 წლის 11 აპრილის AR11028413 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. ბესიკ პაპისმედოვმა და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2023 წლის 30 იანვრის № 6304399 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელება.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 30 იანვრის № 6304399 ბრძანებასა და სანებართვო მოწმობაში, კერძოდ: ჩანაწერი „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 30 იანვრიდან 2024 წლის 30 ივლისის ჩათვლით." შეიცვალოს ,, ნებართვა ძალაშია 2024 წლის 23 აპრილიდან 2026 წლის 23 აპრილის ჩათვლით'';
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 30 იანვრის № 6304399 ბრძანებასთან ერთად;

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.